შევიდეს შემდეგი ცვლილებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის დებულებაში:

1. დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ (შემდგომში – ,,უნივერსიტეტი“) სტრუქტურული ერთეული - შიდა აუდიტის სამსახური (შემდგომში – ,,სამსახური“) წარმოადგენს უნივერსიტეტის სისტემაში შემავალ ,,სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრულ შიდა აუდიტის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია, ემორჩილება მხოლოდ კანონს და ანგარიშვალდებულია რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

2. დებულების პირველი მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ,,სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონით, მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე დებულებით.